დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13

# საქართველოს უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი

## მუხლი 1. რეგილირების სფერო

წინამდებარე წესი ადგენს საქართველოს უნივერსიტეტში არფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესს და პროცედურას.

## მუხლი 2. არაფომალური პროფესიული განათლების აღიარების ზოგადი წესი

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრება წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით.

## მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის უფლება-მოვალეობები

1. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი მიმართავს უნივერსიტეტის შესაბამის სკოლას და წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას :
   ა) პირადი ( არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომამდგენლის) განცხადება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის და უნარების შესახებ, რომლის აღიარებაც განმცხადელს სურს.
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   გ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციის შესახებ არსებობის შემთხვევაში, (ცნობა, სერთიფიკატი და ა.შ).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმნტების გარდა, საქართველოს უნივერსიტეტს უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

## მუხლი 4. არაფორმალური განათლების აღიარების კომისია

1. უნივერსიტეტი დაინტერესებული პირის მიერ წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით მომართვის შემდეგ ქმნის არაფორმალური განათლების ამღიარებელ კომისიას რექტორის ბრძანებით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედის პროფესიული სკოლის დირექტორი, შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელები, რომლებიც არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები, დამსაქმებლის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევის საკითხის განხილვა/გადაწყვეტის ვადით. თითოეულ შემთხვევაში აირჩევა სხდომის თავმჯდომარე.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

**მუხლი 5. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე შექმნილი კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
   ა) განიხილავს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციას;
   გ)განხილავს პრაქტიკის შედეგად მიღებული ცოდნის ან სხვა კომპეტენციის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობას არსებობის შემთხვევაში;
   ბ) ნიშნავს გამოცდას, რომლის ფარგლებშიც განმცხადებელმა უნდა შეასრულოს ერთი ან რამდენიმე პრაქტიკული სამუშაო; გამოცდაზე მიღებული შეფასება და შედეგები ფორმდება ოქმით.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, სადაც დეტალურად აისახება განსახილველი საკითხის შესახებ ინფორმაცია, გამოთქმული მოსაზრებები და ა.შ. ოქმში მიეთითება კომისიის დასკვნა განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:
   ა) დაწესებულების დასახელებას - საქართველოს უნივერსიტეტი;
   ბ) განმცხადებლის ვინაობას;
   გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
   დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში - მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამის დასაბუთებას;
   ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
   ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.
3. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.
4. იმ შემთხვევაში, თუ არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებას უნივერსიტეტში შეტანის შემდეგ დაუდგინდა ხარვეზი,

მაშინ დრო ხარვეზის დადგენიდან, მის აღმოფხვრამდე არ ჩაითვლება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის საერთო ვადაში.

5. არაფორმალური განათლების აღიარება/არაღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას ხელს აწერს რექტორი და წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.